საჯარო სამართლის იურიდიული პირი –
ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭო

ქ. ბათუმი 25 სექტემბერი 2014 წელი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა № 05-01/05

ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსებისა და სახელმწიფო გრანტის მქონე სტუდენტებზე სტიპენდიის დანიშვნის შესახებ

2014-2015 სასწავლო წლის მისაღები გამოცდების შემოქმედებითი ტურების შედეგებით მიღებული პროგრამული დაფინანსების; ერთიანი ეროვნული გამოცდების შედეგებით მიღებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის; „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 51-ე, 52-ე და 53-ე მუხლის, ,,უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 18-ე მუხლის, 43-ე მუხლის 1 პუნქტის „ი" ქვეპუნქტისა და წარმომადგენლობითი საბჭოს 2014 წლის 27 იანვრის №05-01/02 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ბათუმის ხელოვნების სასწავლო უნივერსიტეტში პროგრამული დაფინანსების გაცემის წესის" მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" ქვეპუნქტისა და აკადემიური საბჭოს 2014 წლის 24 სექტემბრის 04-01/10 დადგენილების საფუძველზე

წარმომადგენლობითმა საბჭომ გადაწყვიტა:

1. მიღებული პროგრამული დაფინანსებისა და სახელმწიფი სასწავლო გრანტის გათვალისწინებით დაენიშნოთ ყოველთვიური სტიპენდია:

- მამუჭაძე ლილე - არქიტექტურის სპეციალობის I კურსის სტუდენტი.
- ხორავა ნათელა - არქიტექტურის სპეციალობის I კურსის სტუდენტი.
- მხეიძე ელზა - მსახიობის სპეციალობის I კურსის სტუდენტი.

2. სტიპენდიის ოდენობად განისაზღვროს - თითოეული სტიპენდიანტის მიერ მიღებული სახელმწიფო სასწავლო გრანტის ნახევარი ყოველწლიურად სწავლის დასრულებამდე.

3. გადაწყვეტილება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

წარმოამდგენლობითი საბჭოს
სპიკერი თ. მეიშვილი